სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 96/3
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „17“ თებერვალი 2013 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ეკატერინე გურგენაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „კონტური“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელინა კონსირატის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ტესტირებისათვის 1640 ცალი შტრიხკოდის (კლასიფიკატორის CPV- 22400000 კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 22458000) შესყიდვა.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მიწოდები ვადები და ადგილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 დეკემბრამდე;

3.2. მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში;

3.3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, გორგასლის #10;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **50,84** (ორმოცდაათი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარს.

4.2. ერთი ცალი შტრიხკოდის დამზადების ღირებულება შეადგენს 0,031 ლარს;

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით

გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.1.1 ტესტირებისათვის 1640 ცალი შტრიხკოდის მოწოდება;

5.1.2 შტრიხკოდის დამზადებისას გაითვალისწინოს შემდეგი:

5.1.2.1 შტრიხკოდზე მითითებულ უნდა იქნას აკადემიის ლოგო, აკადემიის დასახელება ქართულ-ინგლისურად;

5.1.2.2 სამციფრა ნუმერაცია დაწყებული „001"-დან დამთავრებული „820"-ით, თითოეული ნომერი უნდა მეორდებოდეს;

5.1.3 შტრიხკოდი უნდა იყოს 30X18 მმ ზომის;

5.1.4 შტრიხკოდი დამზადებულ უნდა იქნეს წყალგამძლე და წებოვან მასალაზე;

5.1.5 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.6 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხარისხი

6.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახურების გაწევის დროს.

7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროს განახორციელებს სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

7.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი მიწოდებულ საქონელში ან გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1. მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელები პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2. მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან, (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი, დღგ-ეს არ გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ

ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით;

11.2. ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით;

11.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ზიანის (პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) ანაზღაურება.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **ეკატერინე გურგენაძის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ 206348987

ეკატერინე გურგენაძე

მიმწოდებელი

შპს „კონტური" წარმოდგენილი დირექტორის **ელინა კონსირატის** სახით,
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, კარგარეთლის №8,
იურ. მის: ქ. თბილისი, მეუნარგიას №58
ტელ: 958338, 877419243, ს/კ 202241751
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა" ანგარიშის №GE72BR0000003606016803, ბანკის კოდი REPLGE22,

ელინა კონსირატი